მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის
ოქმი №9

ქ.მარტვილი **18 აგვისტო, 2022 წელი**

სხდომა დაიწყო 12⁰⁰ საათზე, დამთავრდა 13⁰⁰ საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: ლევან სურმავა, ალექსანდრე გრიგალავა, კობა დარჯანია, კახაბერ ჯგერენაია, ზურაბ მელიავა, შალვა ბახია, ელიზბარ ახვლედიანი, ნათია ბჟალავა, შალვა თაფლაძე, გიორგი ჯიჯელავა.
სხდომას ასევე ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები.
სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარე ლევან სურმავა.

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების მეორე კვარტლის მოსმენისა და შეფასების თაობაზე;
   /მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/
2. მარტვილის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის დადგენისშესახებ.
   /მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/

მოისმინეს1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების მეორე კვარტლის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის წერილი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და დასძინა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა შესაბამისი კომისიის სხდომები და წარმოდგენილია დასკვნები და სთხოვა საკრებულოს წევრებს აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.
სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს სთხოვა საკითხების წინ გაევლოთ რეგისტრაცია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 10. წინააღმდეგი 0.

ბიურომ გადაწყვიტა: .მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების მეორე კვარტლის მოსმენისა და შეფასების თაობაზე საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს დღის წესრიგის პროექტში.

მოისმინეს 2. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის დადგენისშესახებ.
მომხსენებელმა ბიუროს წევრებს განუმარტა, რომ აღნიშნული საკითხი გაეგზავნათ საკრებულოს კომისიებსა და ფრაქციებს განსახილველად აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოდგენილია შესაბამისი კომისიების დასკვნები და სთხოვა ბიუროს წევრებს აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.
სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს სთხოვა საკითხების წინ გაევლოთ რეგისტრაცია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 10, წინააღმდეგი 0.
ბიურომ გადაწყვიტა: მარტვილის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის დადგენის შესახებ საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს დღის წესრიგის პროექტში.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე: ლევან სურმავა